ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6992511

ნომერი: AR11024777

თარიღი : 21.03.2024

გაცემის თარიღი : 19.04.2024

გაცნობის თარიღი : 20.04.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ასათიანი , N 7 , (ნაკვ.07/103);

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე გეგელიძე პ/ნ 01018001308
- თბილისი ვ.ბარნოვის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- უმაღლესი სასწავლებლები
- IV კლასი
- მზიდი ელემენტების, საყრდენი კედლის, დაზიანებული კედლის ან/და შენობის გამაგრება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: უმაღლესი სასწავლებელი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ნოზაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 211328703
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კონსტანტინე გეგელიძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018001308

.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 27802.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 765.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 4746.0
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 721.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 26010.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 23868.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 2142.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 34.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 31.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 2.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.03
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.17
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0.05
- .სასწავლო აუდიტორიის ფართობი (კვ.მ): 4025.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია მშენებლობის ნებართვის გარეშე, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო– სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. საჭიროების შემთხვევაში, დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა, დამოწმებული სპეციალისტის (ექსპერტის) მიერ და ინფორმაცია შემსრულებლის (ექსპერტის) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.
1.კეთილმოწყობა ასახულ იქნას გენ.გეგმაზე.

2.წარმოსადგენია სრულყოფილი საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 19-ე მუხლის შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს

- მიწის ნაკვეთის მისამართს;
- მშენებლობის სახეობას და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
- მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
- შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან განაშენიანების დეტალური გეგმის რეკვიზიტებს
- საინფორმაციო დაფის გაბარიტები და მასზე ინფორმაციის განთავსების პირობები, საჯაროობისა და თვალსაჩინოების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება დააზუსტონ მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანოებმა მინიმალური გაბარიტის ჯერადობის მიხედვით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

3.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: წარმოდგენილ იქნას სამშენებლო მოედნის გეგმა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, სამშენებლო მოედნის საზღვრების, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სქემის და განთავსების, ასევე სამშენებლო მასალების და დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილების ჩვენებით);

4.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ველი დატოვეთ ცარიელი.

5.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ველი დატოვეთ ცარიელი.

6.სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის (არსებული) ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : წარმოდგენილ იქნას კ3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკი და შესაბამისად შევსებული ტექნიკური ეკონომიკური ველი.

7.საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .სპეციალისტის სახელი და გვარი.: შეივსოს მონაცემები.

8.საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.: 1. წარმოდგენილია ერთი და იგივე საკვლევი ტერიტორიის ორი ს/გეოლოგიური კვლევა. ამათგან ერთში ნახსენები და აღწერილია ორი შურფის მონაცემები (საველე სამუშაოები მიმდინარეობდა: – 21-24 აპრილი (2023 წ)), ხოლო მეორეში - ჭაბურღილების და შურფების მონაცემები (ივნისში მოხდა დამატებითი სამუშაოების ჩატარება). ამასთან მეორე კვლევის შესავალ ნაწილში, პირველ აბზაცში ნახსენებია რომ სამუშაოები განხორციელდა 2023 წლის აპრილ-მაისში, და ამავ შესავალ ნაწილში, ცოტა ქვემოთ სამუშაოების განხორციელების ვადად მითითებულია 21-24 აპრილი და 15 ივნისი (2023 წ). ამიტომ საჭიროა საექსპერტო შეფასების, რომლითაც შეფასებულია მხოლოდ პირველი ს/გეოლოგიური კვლევა - განახლება, ვინაიდან მეორე კვლევაში პირველისგან განსხვავებული დასკვნებია გამოტანილი საძირკვლების მოწყობასთან დაკავშირებით. 2. კვლევას თანდართულ ტოპოგეგმაზე ვერ ხერხდება სამთო გამონამუშევრების იდენტიფიკაცია, ვინაიდან იზოჰიფსებზე არ არის დატანილი აბსოლუტური ნიშნულები. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული და განახლებული დოკუმენტაცია შენიშვნების გათვალისწინებით.

9.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .სპეციალისტის სახელი და გვარი.: შეიცსოს მონაცემები.
10.კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასებაში შეცდომით არის განხილული სარეკონსტრუქციო ობიექტის სართულიანობა, კონსტრუქციული პროექტი არ არის სრული სახით წარმოდგენილი. კონსტრუქციული პროექტი უნდა მოიცავდეს: თავფურცელს, განმარტებით ბარათს, ფუძის მოწყობის, საძირკვლის და გადახურვის ძირითად

ნახაზებს (ვერტიკალური მზიდი კონსტრუქციების ტიპების (სვეტები, პილონები, მზიდი კედლები და ა. შ.), ღერძების ხაზების, ძირითადი გაბარიტული და ღერძულა ზომების, გადახურვის ზედაპირის ვერტიკალური ნიშნულების ჩვენებით); ცალკეული კვანძების დეტალურ ნახაზებს; კონსტრუქციული ელემენტების, დეტალების და სამშენებლო მასალების სპეციფიკაციას, პროექტში წარმოდგენილი უნდა იქნას: სივრცითი ანგარიშისათვის გამოყენებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის დასახელება და გაანგარიშებათა შედეგები (ილუსტრირებული დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა, გადაადგილება და რხევის პერიოდი). დამატებით წარმოსადგენია კონსტრუქციული დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის თაობაზე, და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კვლევის ანგარიში 20 მეტრის რადისუით.
11.დამკვეთის ინფორმაციის ველში მიეთითოს ალექსანდრე ბუაჩიძის მონაცემები.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.